გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს გარემოზე
ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს

03. 11. 2021 წ.

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მელექედურის ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, შპს „გურია რესურს ჯგუფის“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე **შპს „ფუელ ინვესტმენტ”**-ის (ს/კოდი 405490838) მიერ იგეგმება დიზელის საწვავის სარეალიზაციო სადგურის მონტაჟი და ექსპლოატაციაში გაშვება.

საწარმოს მიერ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისათვის აღნიშნულ მისამართზე (GPS კოორდინატები: X-252568,99 ; Y-4647658,54) გამოიყო ზემოთხსენებული კომპანიის კუთვნილი (200 m^2) ტერიტორია (საკადასტრო კოდი 26.13.23.006), რომელზედაც განთავსდება ავტოგასამართი სადგური და მისი დანიშნულება იქნება დიზელის საწვავის მიღება, შენახვა და სხვადასხვა საწარმოების (გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად), კუთვნილი ავტოთვითმცლელების საწვავით გამართვა.

საქართველოს კანონის „გარემოდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

სკრინინგის განცხადება თანდართულია.

დანართი 9 ფურცელი.

პატივისცემით,

/შპს „ფუელ ინვესტმენტ”-ის დირექტორი /ალექსანდრე გეგეჭკორი/

№ 20433
15 11 2021 წ.